საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 204 2023 წლის 5 ივნისი ქ. თბილისი

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/08/2022, 430060000.10.003.023629) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროფესიული უნარების სააგენტომ უზრუნველყოს ამ წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება 2024 წლის 31 დეკემბრამდე. ელექტრონული სისტემის შექმნამდე შესაბამისი საქმისწარმოება განხორციელდეს მატერიალური ფორმით.“.

2. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შუალედური შეფასებისა და იმავე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდეს 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**